

18.05.2018 წლამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს წევრი ვარ 2014 წლიდან. სოფლის მოსახლეობა შეადგენს 611 ოჯახს, მოქმედი 504, ხოლო საერთო ამომრჩეველი 1357 მოქალაქე.

ყველა მოქმედ ოჯახს ტექნიკური წყალი მიეწოდება პერიოდულად, 2015 წელს მერიის დაფინანსებით უსასყიდლოდ დაფუნდონტაჟეთ მრიცხველები, რამაც უზრუნველყო წყლის მიწოდება ყველა უბანზე. 1 კმმ წყლის ღირებულება 40 თეთრია, უნდა აღინიშნოს კომუნალური სამსახურის დროული რეაგირება დაზიანებული მილუმის შეკეთებისას.

- სოფლის 487 ოჯახი არის გაზიფიცირებული 2015 წლიდან.
- გამოიგვალა 28 კმ. ელ. გადასვები ხაზები, შეიგვალა 130 ბეტონის და 15 ხის ბოძი.
- 2016 წელს მოვახდინეთ ძველი საჯარო სკოლის დემონტაჟი, ამჟამად სკოლაში 122 ბავშვი სწავლობს.
- 2016 წლის 24 ოქტომბერს გაიხსნა საბავშვო ბაღის გარემონტებული მეორე ოთახი. ბაღში 58 სკოლამდელი აღსაზრდელი ირიცხება.
- კეთილმოწყობილია მინი საფეხბურთო და ფრენბურთის მოედნები. განათებულ მოედნებზე საღამოობით იგრძნობა ახალგაზრდების სიმრავლე.
- პერიოდულად ვახდენთ ინერტული მასალების შემოტანას. წარმომადგენელთან ერთად ვაწესრიგებდით გზის საფარის შეკეთებას კომუნალური სამსახურის ტექნიკის დახმარებით. გზებზე ზიანდება უბვი ნალექის გამო. აუცილებელია 2000 მეტრზე ბეტონის საფარის დაგება.
- 2016 წლის 8 ნოემბერს სოფელში დავრგეთ 280 მუხის ნერგი. 200 -მდე არის გახარებული, ტერიტორია შემოვლობით.
- სიაზოვნებით ვიხსენებ სოფლის პროგრამებით დაფინანსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს - 2 უბანზე დაიგო 400 მეტრი ბეტონის გზა, მოპირკეთდა 3 წყაროს მიმდებარე ტერიტორია, გავაკეთეთ 3 მოსაცდელი.
- კეთილმოწყობილია ამბულატორია. სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში ფუნქციონირებს სტომატოლოგიური კაბინეტი.

რაც შეეხება 2017 წელს:

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამით დაკმაყოფილდა 12 ოჯახი (3487 ლ).
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გავუწიეთ სოფლის 19 მკვიდრს (2550ლ.).
- ახალშობილთა პროგრამა შეეხო 2 ოჯახს (500 ლ.).
- არის ოჯახი რომელიც ისარგებლებს სახლდაზიანების პროგრამით.
- თერჯოლა-ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ ელგუჯა გოცირიძის თანადგომით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის და

უშუალოდ მერიის სოციალური სამსახურის მონაწილეობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უსასყიდლოდ გადაეცა ეტლი.

- ასევე აღსანიშნავია სეს-ის მიერ აქტიურობა მავშნე მწერი ფაროსანას მიმართ. სოფლის ტერიტორია შიდა გზებით 36 კმ. აუცილებლად იქნება შეწამლული უახლოეს მომავალში.
  - 2018 წლის 9 მაისს ტერჯოლის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელობამ მოინახულეს დიდი სამამულო ომის ვეტერანი.
  - ასევე პატივს მივაგებთ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცის მიმართ.
  - მერის ასისტენტების მიერ ჩატარდა სანიტარული დღე ცენტრალურ ქუჩებში. ველოდებით ნაგვის ურნების შემოტანას.
  - ყოველ თვეში ლიბერთი ბანკის მანქანით ოპერატორები არიგებენ პენსიას. პენსიონერების რაოდენობა - 371 მოქალაქე. უმრავლესობა პენსიას ადგილზე იღებს. ისინი იხსენებენ წარსულს. უკმაყოფილებას გამოთქვამენ სურსათზე, მედიკამენტებზე ფასების ზრდის გამო. მომავლის უკეთესობის იმედი აქვთ, მოსწონთ ჯანდაცვის პროგრამა.
- მზად ვარ დახმარება გავუწიო და ვაგრძნობინო მათ რომ ჩვენი ხელისუფლება არის ორიენტირებული - კეთილდღეობაზე, ადამიანის ღირსებაზე, ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, განათლებაზე, რომ ჩვენს სამშობლოში სიღარიბე მალე იქნება დაძლეული.
- ყოველთვის მივესალმები ეროვნულ ოჯახებს, ლამაზ ეზოებს, წესრიგს და რაც მთავარია კანონის უზენაესობას.

პატივისცემით სოფელ ჭოგნარის მაჟორიტარი დეპუტატი  
გიორგი ბერეკაშვილი

28.05.2018წ.